პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება

განხორციელების ვადა: 01.04.2019 - 31.03.2021

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 670 851

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Statistics Denmark, National Statistics Office of Georgia

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/EUTwinningGeostat

პროექტის ვებსაიტები: dst.dk/en/consulting/projects/georgia

პროექტის აღწერა:

ევროკავშირი მხარს უჭერს ისეთი ინსტიტუციების განვითარებას, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს მთავრობის მიერ ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ინიცირებული რეფორმების წარმატებით შესრულებაში.
ინსტიტუციური დაძმობილების ეს პროექტი საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან მუშაობს და მის მიზანს წარმოადგენს საქართველოს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის შესაძლებლობების განვითარება და საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის წარმოების, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სტანდარტებთან, სახელმძღვანელო პრინციპებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა.
პროექტი, რომელიც ჩეხი, უნგრელი, ფინელი და ლიეტუველი კოლეგების დახმარებით ხორციელდება, შემდეგ მიმართულებებს მოიცავს:
-□საგარეო სექტორის სტატისტიკის შექმნა
-□ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიური გამართულობის გაზრდა ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში
-□ბიზნეს სტატისტიკის წარმოების მხარდაჭერა
-□სოციალური სტატისტიკის წარმოების გაძლიერება.
გარდა ამისა, პროექტი სატისტიკის ეროვნული სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერებასაც ითვალისწინებს, რათა წარმატებით მოხდეს ახალი საქმიანობის განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგები:

- მაღალი ხარისხის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები
- პარტნიორ ქვეყნებს შორის ორმხრივი ვაჭრობის მონაცემებში არსებული განსხვავებების იდენტიფიცირება და მათი შემდგომი შემცირება.
- მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების გაუმჯობესებული მეთოდები, წლიური სექტორული ანგარიშებისა და დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების დანერგილი და გამოქვეყნებული მეთოდები.
- გაუმჯობესებული ბიზნეს რეგისტრი და განვითარებული არსებული ბიზნეს დემოგრაფიის ინდიკატორები.
- ადმინისტრაციულ მონაცემთა უფრო მეტი წყაროს გამოყენების გამოკვლეული შესაძლებლობების.
- საქსტატის მიერ შემუშავებული სამუშაო ძალის გამოკვლევის განახლებული კითხვარი, რაც საშუალებას მისცემს საქსტატს დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები გაიანგარიშოს უახლესი სტანდარტების შესაბამისად.
- მზარდი ტურისტული სექტორის შესახებ ამაღლებული ცნობადობა ამ სფეროში განვითარებული ახალი სტატისტიკური მონაცემების საშუალებით.